სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

28/01/2026

MES 7 26 0000081861

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, აპლიკანტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 იანვრის №01-05-04/02 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ავსტრიის ლეობენის უნივერსიტეტს (Montanuniversität Leoben) შორის 2025 წლის 09 ოქტომბერს გაფორმებული მემორანდუმის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილის 2026 წლის 26 იანვრის (64799) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ :

1. 2026-2027 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრისთვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა, ავსტრიის ლეობენის უნივერსიტეტში (Montanuniversität Leoben) გაცვლით საერთაშორისო პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნით, აპლიკანტების შესარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თამარ ლომინაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
ივანე ჯაგოდნიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
თეა მურვანიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
მიხეილ ჯანიკაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსი;
ზაზა ბუაჩიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი;
დავით ხვედელიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
დავით ლეშკაშელი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
სს „არ ემ ჯი კოპერი"-ის წარმომადგენელი;
შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი/წარმომადგენელი.

2. დაევალოს კომისიას:
ა) სააპლიკაციო განაცხადების განხილვა და გასაუბრება ჩაატაროს კონკურსისთვის გამოცხადებულ ვადებში;
ბ) კონკურსანტების შეფასება განახორციელოს „გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის წესის დამტკიცების თაობაზე" სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 იანვრის №01-05-04/02 დადგენილებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით;
გ) კონკურსის შედეგები კონკურსანტებს ინდივიდუალურად აცნობოს საკონკურსო განაცხადში მითითებული ელ. ფოსტით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს, თამარ ლომინაძეს.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით